





დეჰ რამდენი ასეთი ლიგებია უხარმხარ თბილისში? და აქ უფრო სამწუხარო ის არის, რომ ასეთ ლიგის წევრებად და სხვერბლებად ისეთი წრის ადამიანები ხდებიან, რომლისგანაც არ მოელი, რომელსაც უმაღლეს წინააღმდეგენელად სახავ. ასეთია სიტკბოება ეოკალი ბორტებისა, რომ იგი ეველას იზიდავს და მხოლოდ ხასიათით მტკიცენი, მუარ სნეობრივ პრინციპებზე აღზრდილნი და დაძვარებულნი უძლებენ ამ განსაცდელს. თავისუფალი სიევარული, — სიევარული არა პლატონიური, არამედ სიევარული სორციელი, ეპიკურიული, ვის არ მიიზიდავს, ვის არ მოხიბლავს, მით უფრო დღევანდელ ახალგაზდობას, რომელსაც იმავე განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ანდრეამდ დაუტოვა არარის რწმენა, არარის თაყვანის ცემა, გარდა სიამოვნების და განცხრომის ღმერთისა; აბა რაში უნდა ჰპოვოს დღევანდელმა ახალგაზდობამ თავის სიცოცხლისასრი, თავის ცხოვრების მიზანი თუ არ ასეთ სიამოვნებაში, როგორც არის თავისუფალი, ალვირ-წახსნილი სიევარული, როგორც არის ლიგა თავისუფალი სიევარულისა ანუ უკეთ რომ ვსთქვამთ თავისუფალ გარყენილებსა, თავის პროგრამით, პატიოსანი შრომა, ბეჯითობა მეცნიერების შესწავლაში, განვითარება თავის სულიერ ძალებისა, ამაღლება სწეობისა, განმტკიცება ხასიათისა საღვთო მცნებების მიხედვით, ერთი სიტყვით, გაღვთავებრივება თავის პიროვნებისა მო-

ძრობას აქეთ აღზრავისთვის არ შეადგენს ცხოვრების მიზან და მით უფრო მოსწავლე თაობისათვის, რომელმაც თლათ დაჰქარვა თავი და გაეხვია რაღაც უკუნეთ ბურუსში, რომლისაგან გამოსვლასაც კი არ ლამობს. დღევანდელი მოსწავლე თაობის სკოლა თეატრია, მასწავლებლები — აქტიორები და სწეობაც თეატრიდან გამოტანილი დაქვთ სოფელ ქვეყანაში. და ეს სულ ჩვენმა ბატონმა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მოგვიტანა.

ამ საქმეს კიდევ რამე ეძველებოდა, რომ ახალი მიმართულების, ახალი სწეობის მქადაგებულნი ისევ თავის პოზიციაზე არ იდგენ და თავის მოძღვრებით და მგალითით არ აქეზებდენ ახალგაზდობას. ჭეშმარიტ სწეობრივ და გონებრივ განვითარების გზას აძედარი, დღევანდელი ახალგაზდობა ღობე—ეორეს ედებს და თავისუფალ სიევარულის ლიგისებურ საზოგადოებაში იხრჩობს თავს, რადგან ამაზე მეტ ფაქის და ძალად იღვალს ვერსად ვერ პოულობს. მას ჩავატონეს, იგი დააჯერეს, რომ მიწის მვილია და მხოლოდ ის მერჩება რასაც ისიამოვნებს; და ზი ერთი სიამოვნებაც — თავისუფალი სიევარულის ლიგაა. დანტკებით, ბატონებო! თქვენ იმკით ამას, რაც დასთესეთ, თქვენ იკრებთ იმას, რაც დააბნიეთ. თქვენ არ გინდათ ღმერთი, უკვდავება—ზი ესეც აუცილებელი შედეგი თქვენი უარყოფითი ქადაგებისა—ლიგა თავისუფალ სიევარულისა. და, ვინ იცის, კიდევ რა შედეგები მოჰქვეება ცხრას სუთ



და ექვს წლებს ადამიანის სხეობრივ ცხოვრებაში?... საჭიროა ცოტა უკან დავისიოთ ამ შემთხვევაში, საჭიროა ავლავდეთ ჩვენი უარყოფითი მიმართულება სახარების მართელ აზრების ქადაგებით, საჭიროა დაუბრუნდეთ ღმერთს, თორემ, როგორც ვხედავთ, ის ქვა გუნდა, რომელიც ჩვენ ღმერთს მივაუარეთ, თავზე გვაყვინდება და თავის სიმძიმის ქვეშ გასრისას გვიპირებს. ოჯახი, სკოლა და სამღვდლოები, უფრო ქალაქის, აი ვინ არის მოვალე ღვთისა და ადამიანობის წინაშე ამ შემთხვევაში. ხარბახნები, ბომბები და სხვა ასეთი რეპრესიული ზომები ამ შემთხვევაში უძლეურნი არიან.



## სტამბოლის ქართველობა.

„სახალხო გაზეთის“ № 232-ში მოთავსებულია შემდეგი საყურადღებო ცნობა:

ახალი წელიწადი ძველი სტილით და წმინდანობა ახალი სტილით ერთად აღდესასწაულს სტამბოლელმა ქართველებმა, 1/14 იანვარს ქართულ კათოლიკეთა მონასტერში, სადაც წირვა-ლოცვა მუდამ ღვთისურად სრულდება, ამ დღეს ქართულად სწირეს. მწირველი იყო ქართულ წესზე ხაურთისი კათოლიკე მღვდელი მამა ანდრია წინამძღვრისძეილი. იგალობა კონსტანტინე სათარგმის-ლოტბარობით სორომ, ახლით შემდგარმა რომიდან დაბრუნებულ ახალგაზდებისა და აქ მოსწავლე ქართველ შიგირდებისაგან. ტრაპეზის თავს იყო აღმართული წმ. ნინოს დიდი ხატი ამითგანვე უკვილებით მართულნი ზედაწერით: „წმინდაო ნინა, ივერიის მოციქულა, ევედრე ჩვენთვის“. შეჩივრმა გალობამ, ოთხ ხმაზე შეწყობილმა, და

წირვამ ცრემლით ატირს ხალხი, მოღებულა ამგვარ ნუგუმს შინ და გარეთ. მართლა და ბევრი სიტუბო-სიმწარის ფიქრება მოადგებოდა ადამიანს, როცა უამთა სიგრძეში რაღაც მანქანებით ზირშეკრულნი და სამშობლოში თავანთ გვარტომობაზე არ ცნობილნი ქართველნი კათოლიკენი მშობლურ ენაზე წირაუდნენ წმ. ნინოს საკუდრებლად და მერე ეველანი ერთმანეთს უზიარებდნენ ამის მიერ გულის მოღსინებასა. ხამდეილი დღესასწაული იყო, გარემენი ჰკვირობდნენ ქართულ წირვის შევიწროებას. ჩვენი არაფრით არ არი შეცვლილია, იგივეა, რაც ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაში, ხართულია მხოლოდ მოკლე მოსხივნება შაშისა.

წირვაზე იქადაგა ახალგაზრდა მღვდელმა მამა შიომ, ერთმა იმ რვათაგანმა, რომელნიც გაუწვრთნა მამული სიყვარულში შატრი აფთხისს, ძველად საყვარელიეს და შემდეგ სითარკად გადარქმეულს.

ამონაკითხმა დიდი შთაბეჭდილება იქონია. ამხარ საბუთის შემდეგ ანამც თუ ეველა ჩვენ ქართველთაგანმა, ანამედ თვით გარემეებმაც უნდა დაიდუმონ შირი და აღარა თქვან, რომ ქართველი კათოლიკობა არ არსებულა და რაგა მისი ცნობილი არ არი რომისიგან. ან კი როგორ შეიძლება ამის თქმა, ვინაიდგან დღევანდელი ბოლიტიკა რომის შაშისა ამჟარ და ცხადი ეს არის, რომ აღმოსავლეთის ქრისტიანებს, მასთან შეერთებულებს, ხელუხლებლად უტოვებს თავანთ გვარკუნულ ტიბიკონს, ესე იგი—ენასა და წესს ეკლესიაში, და შირაქით გაღვთიანება მათა, ესე იგი ამ წესის მოშლა ვისგანმე არი გამომცხადებული შეჩვენების ქვეშ. ამხარად არსებობს ბერძნის კათოლიკობა, არაბ-კათოლიკობა, რუს-კათოლიკობა, დაარსდა აქლად რომში, და ეგრეთვე სომხს-კათოლიკობა, რომელმაც ჩაწერნენ ჩვენი ძმები და სომხური ტიბიკონი მიაჩვენეს ხელში მამასადამე თუ კი შიამობა სამი კაცი (რეგინდ ცოტანი ივენენ), კათოლიკე, თავის თავისა ქართველად ამღარებელი, მათ როგორ მოუშლიან თავანთ გვარკუნულ წესს? და ავი დაუარსებათ კიდევ მამა ბეტრეს დროს ქართველთ საგარო მრველი სტამბოლში. მაგრამ საქმე რომისაგან ქართველ-კათოლიკობის ცნობაში თუ არცნობაში არ არის,



არამედ თავის აზრის გატანაში, და ამიტომ საჭმის ჩასაშლელად მამა ბუნედიქტემ მთხოვნელთ სხვა საძინელნი აუჩინა.

წინაა ქადაგებით საღხი ძლიერ ნახუგეშევი დაჩნა, მაგრამ წირვის შემდეგ კი ერთმა გარემოებად მეტად დაამწუხრა და დღესასწაულს ფერი დაუკარგა. რადგან ამ აშბავს საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ გადმომაქვს გასეთის ფურცლებზე.

აჭაურ ქართველ საზოგადოების არა აქვს ჯერ ისეთი ბინა, რომ საბჭოებლად იქ იკრიბებოდნენ და ამიტომ, როცა შემთხვევა ეძლეოდო, სარგებლობდნენ მონასტრის თავისუფალ დარბაზით. ამ დღესაც იქ შეიკრება, რომ მოაქმინა წლიური ანგარიში და სათქმელი თქმულიყო. მაგრამ მონასტრის უფროსმა მამა ბუნედიქტემ დააპირა დაუშალა იმ მოსახრებით, რომ მართლწიკრები უნდა შეურიღოფივით და აქ კი პატარებიც არიანო. საზოგადოების თავმჯდომარემ ბ. სიდაკამ მიუგო, რომ ვინც სტამბოლში ქართველთა, ყველა საზოგადოების წევრად და მამასადამე დასწრებაც შეუძლიან და არც ყოველთვის შეგვიძლიან შეკრება, რადგან ერთხელ უკვე დაგვიანდებოდა. ამნაირ მოკიდებით შარშანაც ჩაგვეშალა მშვენიერი დაწვებულება, — უოველ-თვიური კრება, რომელსედაც ჯერ პატრი სტეფანეს ქადაგებას ასმენდნენ ერთად ქრისტიანი და მამადაიანი ქართველები და მერე იმართებოდა საჭმის ბჭობა. მაგრამ კარის გაღება, თუ არ გაღება მასხანძლის ნება და არც ამასეა ესეა დაბარავი

ახალწელიწად — ნინობა მამა ბუნედიქტემ იქ შეკრებილთ იმით მიულოცა, რომ ეპისკოპოსის მათი თხოვნა არ შეიწყინა და ნურც ელიან შეწყინებულს. აი ეს იყო, რომ ხალხი დაამწუხრა. საჭმე ამნაირად:

გაუფილ წელს აჭაურმა კათოლიკე ეპისკოპოსმა დამალა 1882 წლიდან ლეონ XII პაპის ნუ ბართვით სტამბოლში არსებული ქართულ წესის საკრო ეკლესია და მრეკლი. ვინ რა უბანში სცხორებოს, იჭაურ ლათინთა წესის ეკლესიებს მიაწერა. ქართველებმა ეს გარდაწყვეტილება სრულიად იუარეს და წარსულ ენგენისთვეში თხოვნა შეიტანეს ეპისკოპოსთან, რომ ჩვენ აღმოსავლეთ-

ქართულ ტიპიკონის (წესის) კათოლიკენი ვართ, სხვა ტიპიკონი არ გვიანდა და ისევე ჩვენი აღგვიდგინეთო. უნდა შევნიშნოთ, რომ პაპისაგან აგრძალული ყოფილა გალათინება იმ კათოლიკებისა, რომელნიც აღმოსავლეთ ტიპიკონზე დგანან, ესე იგი, საგვარო ეკლესიურ წესს მისდევენ, ამიტომ ქართველთა სამართლიანი თხოვნა სულ ადვილად უნდა შესრულდებოდა, მით უმეტეს, რომ სამრევლო ეკლესიაცა აქვს თავიანთი, დედა-მონასტრებზე დამოკიდებული, რომელშიაც წირვა-ლოცვაც ყოფილა, მოუხატლათ კიდევ და ჯვარც დაუწერიათ ქართულ წესზე. მაგრამ აქამდე არავითარი პასუხი არ იყო. ამ დღეს კი იმ ხალხს, რომელმაც თხოვნაზე საკუთარი ხელი მოაწერა, მონასტრის უფროსმა პატრი ბუნედიქტემ გამოუცხადა: ეპისკოპოსმა თავის კაცი ჩამოატარა, საჭმე სესტად ჩათვალა და უარი თქვაო. ამნაირ ახსნით და განმარტებით საზოგადოება გაშტერებული დარჩა. ყველასზე მეტად ის დაუძიმდათ, რომ თვით მამა ბუნედიქტე აღმოჩნდა მიძღები და მომხსნე უარის თქმისა.

დამღრმებული საცქერავი იყო, როცა ყველას იმას ამბობდა, რომ ჩვენ ჩვენს ენაზე გვიანდა წირვა-ლოცვაო და პატრი ბუნედიქტე კი იქედს უხელებდა, — ქართული ტიპიკონი პაპისაგან ცნობილი არ არისო. სწორედ ისე, როგორც ჩვენი მოავენი ნატრობენ და სწიკენ. თანაც დაქადებით იმეორებდა, რომ ამის დამატკიცებელი ბრძანება პაპისა სელთა მქვსო. მაგრამ რომ მართალი არავის ჭკონებოდა ბრალდება ქართულ ტიპიკონისა, მისმა თანამოსხურებმა აქვე გაუბათილეს საბუთი, რადგან მართლა ყოფილა ოდესმე რაღაც უცნობი დოკუმენტი, მაგრამ მას შემდეგ კიდევ უკურთხეობათ ქართველი მღვდლები, სოლო ახალგაზრდა ხელქვეითებმა გადაუშალეს თამარაშვილის „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ და წავითხულ იქმნა შემდეგი ადგილი, გვერდი 487:

„რადგან მღვდელს შაკლე მჭეულანს არ აუხრულებია რომიდან მოსული მოწერილობა, რომ ორი ფმაწვილი ქართველი ტომისა გაგვზავნა რომში აღსაზრდელად, პრობაგანდის ხარჯით, რათა შემდეგში ამათ მოუარონ ახალციხის ქართმელ-კათოლიკებს პრობაგანდა ხელმოკრედ სწიკნი:



„ახალციხის პროკატორს, ბატონ ჰაველე შაქ-  
უელიანს, 6 აგვისტოს, 1803“.

„თუმცა ამბობთ, რომ საჭიროა აღარ არის  
ქართველი მღვდლები ბერძნის ტიპიკონისა, აღარც  
ახალციხეში და აღარც ველში, სადაც ის ცოტა  
დარწმუნდა ქართველი კათოლიკეები შეეჩვივნენ  
(სომხურ წირვას), გარნა წმინდა კრებას ეკ  
(რასაც პირველად სწერდნენ) დიდათ სასარგებ-  
ლოთ მაინცა. შესასებ ველისა უფრო შესაფერი  
იქნება იქ მყოფ ქართველ კათოლიკებს, რაგინდ  
ცოტანი იყვნენ, ჭევედრით მღვდელი, რომელმაც  
საიდუმლოება და საკვლესიო წესები შესარწმუნოს  
მათ თავიანთ საკუთარ ტიპიკონისამებრ ..  
თუმცა საჭიროებამ იძულებულ-ჭეუ მიემართათ  
სომხურ ტიპიკონის მღვდლებსათვის... რადგან  
სხვა გზა არა ჰქონიათ“, და სხვა ბოლომდე.

რა არის აქ მისი შორეული მიზანი, არ  
ვიცი, მაგრამ რა საბუთი აქვს განსაზღვრულად  
თავის მოქმედებისა, ეს ვა თათობზე სათემოდ  
აღიარა: „უმისკომოსს აგრე უნდა: შიბძანა და  
აღასრულე; ჩვენ გვარის წარმატებაზედ ვა არ უნ-  
და ვზრუნვდეთ, არამედ სულს ცხონებაზე;  
საქართველო რომ აშენდეს და მე ვი ჩემი დაუ-  
მორჩილებლობით სულა წაიწმინდაო, რა სასარგებ-  
ლობა შექნება“. წინაშე იმ საზოგადოებისა, რომ-  
ელმაც ის იყო ანუგეშა თავისი თბილი გული  
ქართულ წირვა-გალობას გაგონებით და იმ ახალ-  
გაზდებთან, რომელთაც თავიანთ სიკვილ-სიხილ-  
სლე სამშობლოსთვის უნდათ, ამ სატყუებმა უდა-  
ბნოში გაიარეს და კრთი გულიც არ გაჭეულია  
მათ. აღბანდ მამა ბეხედიქტი თათობზე მისვდა თავის  
ამხარ განმარტოებას, რომ იმ დღიდან მონ-  
ასტრის ახალგაზდობას უამხობცს კითხვა მონ-  
ასტრში ქართულად დაწყობინა. მართლად და უმომ-  
ძრო მონადის ქადაგებას, რომელი უჩვენოთაც  
უხვი წყალობით შემოაქით ჩვენში, რომ უკეთესად  
დავიძინოთ, ათასჯერ ემჯობინებოდა აქსნა და  
ჩაკვანებისა იქ შეკრებულ ხალხისთვის, თუ რას-  
თვის მოვიდა დამარსებელი მონასტრისა მამა  
ბეტრე ხარაჭირიჭიან შვილი კონსტანტინებოლოში  
და აქედან ცრემლით აკედრებდა რომის მამს ქარ-  
თულ კათოლიკებსა?

თხოვნის მიმდგომი უკმყოფილონი დაამალ-  
ნენ, რა გზას დაადგებინ, ჟერ არ ვიცი.



# მოხსენება

პროფესორ ა. ა. ცაგარელიანს.

(ნათარგმნია სინოდის ორგანის „Церковныя Вѣдомости“-  
დან 1906 წლ.).

მოწმობანი მე XVII—XVIII საუკ. ოფიცია-  
ლურ მიწერ-მოწერისა საქართველოს (ივერია-  
ის) კვლესიის ავტოკეფალიის შესახებ.

(დამსრული.)

ორგანო ვი იბეჭდება საეგზარხოსოს ხარ-  
ჯით.

ერთი სიტყვით „საქიროებისა ანუ სხვა  
მიზეზების გამო, ბევრი რამ იქმნა არა თანა-  
ხმად საეკლესიო კანონებისა“ (2 კან. 1 ნი-  
კეას მსოფლ. კრებ).

9) არა დაცვა საქართველოს საეკლესიო  
და სამოქალაქო კანონების დადგენილებისა,  
რომლებიც მაშინ მოქმედებდნ საქართველო-  
ში.

აი მოკლე დასკვნა საქართველოს (ივე-  
რიის (ეკლესიის ავტოკეფალიის კითხვისა 1)  
ისტორიულის, 2) კანონიურის და 3) აღსრუ-  
ლების (პრაქტიკის) მხრივ.

ისტორიის მხრივ საქართველოს ეკლესი-  
ის ავტოკეფალიის აღვიარება ანტიოქიის პა-  
ტრიარქისგან, რომლისაგანაც ამას წინათ ის  
იყო დამოკიდებული, უეჭველია; თუმცა თვით  
დღიდან ანტიოქიის საკრებულო დადგენილე-  
ბისა ჩვენამდის არ მოუღწევია. ან არ არის  
ჯერ ნაპოვნი, როგორც ოქმები რამოდენიმე  
სხვა მსოფლიო კრებათა. მაგრამ უეჭველია,  
რომ ის არსებობდა. ეს სჩანს თანამედროვე  
ქართულ მოწმობათაგან (ეფრემ მცირე და  
სხვ.), აგრეთვე მე XII საუკ. მცხოვრებ შესა-



ნიშნავ კანონისტისა, ამხსნელისა და ანტიოქიის პატრიარქის ვალსამონის მოწმობისაგან. (განმ. მე 8 კან. III მსოფლ. კრებ.), რომელიც, როგორც სჩანს, იყო კარგი მცოდნე საქართველოს ეკლესიის საქმეებისა, ყოფაცხოვრებისა და წესებისა და რომლის ჩვენებასაც არა, გვაქვს არაერთი საფუძველი, არ ვერწმუნოთ.

მეორე ანტიოქიის პატრიარქი მაკარი, რომელმაც მე XVII საუკ. მეორე ნახევარში ორჯერ მოვლო აღმოსავლეთის და დასავლეთის საქართველო მოწყალების შესაკრფვათ (მოსკოვ. მიტროპ. მაკარი. ისტორია რუს. ეკლესიისა ტ. 12, 529 გვ.) მოწმობს აგრეთვე, რომ თავიდან ივერიის ეკლესია ემორჩილებოდა ანტიოქიის პატრიარქიას, მაგრამ შემდეგ შეიქმნა დამოუკიდებელი, აღმოაჩნია რა ქათალიკოსი. ეს რომ მომხდარიყო წინააღმდეგ საეკლესიო კანონებისა, ანუ წინააღმდეგ ანტიოქიის პატრიარქის ნებისა, პატრიარქი მაკარი უთუოდ აღნიშნავდა ამას, რადგანაც ის არამც თუ არ ესარჩლება საქართველოს ეკლესიას, არამედ კიდევაც აზვიადებს ნაკულუღევანებათა შესახებ უწესობებისა, რომელიც მის დროს სუფევდა საქართველოს ეკლესიის მართველობაში და სამწყსოში\*). რაც შეეხება მას, რომ პატრიარქი მაკარი, საქართველოში ყოფნის დროს, ადგილობრივი მოხელეების ნებადართვით მოქმედებდა ხალხში, როგორც უფლების მქონე, საჭიროა შევნიშნოთ, რომ პატრიარქები მათგან დამოუკიდებელ საეკლესიო ოლქებში ხშირად იქცეოდნენ ასე ძველი ჩებულების გამო: ასე იქცეოდნენ

\*) Adant commencé par dependre du patriarcate d' Antioche, ils (des Seogiens) se sont élus, plus tard, un Catalicos et sont devenus independants. Histoire de la Conversion des Zeorgiens du Cchristianisme par le patr. Macaire d' Antioche. d' Antioche. Trad. de P' Arabe par Wga de Lebedew. Roma 1905. არაბული ტექსტი, როგორც პრაგოს. სობესენდ. წიგ. იანვ. და მარტი 1906 წ.

იგინი რუსეთშიაც პატრიარქების დროს: „როდესაც მოწვეულნი მოსკოვში პატრიარქი ნიკონის გასასამართლებლად აღმოსავლეთის პატრიარქები მოვიდნენ რუსეთში, იგინი რუსეთის ნიადგზე ფეხის შედგმისთანავე იქცეოდნენ, როგორც უმადლესი უფლების მქონე რუსეთის ეკლესიაში ძალი, იღებდნენ საჩივრებს, განაჩენდნენ სამართალს და სასჯელს, სჯიდნენ და არიგებდნენ (ნ. სუვოროვი. საეკლ. კან. კურსი. ტ. I. 119 გვ. მაკარი. ისტორია რუს. ეკლესიისა). მოსკოვ, 1666—1667 წ. კრებაზე, რომელზედაც დაისაჯა პატრ. ნიკონი, დაესწრო ქართველი მიტროპოლიტი ებიფანე, როგორც წარმომადგენელი ერთი დამოუკიდებელი ეკლესიისა. (მაკარი, რუს. ეკლ. ისტორია. 12 ტ. 67 გვ.)

სპარსეთის შაჰებისა და საათრეთის სულთანების ფარმანები აგრეთვე უეჭველად მოწმობენ, რომ მე XVII—XVIII საუკ. საქართველოს ეკლესია იყო სრულებით დამოუკიდებელი რომელიმე საეკლესიო ძალისაგან მისი ოლქის გარეშე. ქათალიკოსებს ირჩევდნენ ეპისკოპოზები, კრებული და ერისკაცები და ამტკიცებდა მათ შაჰი, ან სულთანი იმ პერიოდებში, როდესაც მათ, როგორც ხმლით დამპყრობელთ ეკუთნოდათ უფროსობა საქართველოში, დანარჩენ დროს-კი ამტკიცებდნენ მათ თვითონ საქართველოს მეფეები; მაგალ., 1764 წელში მეფე ირაკლიმ გამოიწვია რუსეთიდან ანტონი I და აღაყენა ის წინანდელ ქათალიკოსის უფლებებში; აგრეთვე ანტონი მე II დაამტკიცა ქათალიკოსის ხარისხში 1790 წ. პირველის სიკვდილის შემდეგ ამ სახით, 1788 წელს რუს-ქართველთა პირობის შეკერის დროს, შეერთებული ქართლ-კახეთის სამეფო იყო სრულებით დამოუკიდებელი, როგორც საეკლესიო, ისე სამოქალაქო მხრივ. ამ გარემოებას აქვს გარდამწყვეტი მნიშვნელობა ავტოკეფალიის საკითხისათვის იურიდიული და კანონიური. იმის გამოკვლევას-კი თუ რამდენი საუკუნეა, რაც სარგებლობდა ის ავტოკეფალით—აქვს მხოლოდ ისტორიული სნტერესი და მნიშვნელო-



ბა, ხომ არავინ არ არის წინააღმდეგი რუსეთის ეკლესიის სურვილისა აღადგინოს თავისი პატრიარქობა, თუმცა ეს ჰქონდა მას მხოლოდ 111 წლის განმავლობაში. 1783 წლიდან 1810 წლამდის არ მომხდარა არავითარი შეზღუდვა ან შემცირება უფლებათა და უაღრესობათა ქათალიკოსის პატივისა და ძალისა თვითონ საქართველოში, საქართველოს გარეთკი რუსეთი, მღვდელ-მთავრის განსაგებელში პირობის მე 8 მუხლით ჰქონდა მას მინიჭებული მე 8 ადგილი, როგორც უპირატესობა პატივისა ავტოკეფალიურ ეკლესიათა ჩვეულებისამებრ, მგავსად მისსა, როგორც რუსეთის პატრიარქ ჰქონდა აღმოსავლეთის ეკლესიათა მღვდელ-მთავრის გან აგებელში დანიშნული მეხუთე ადგილი, თანა წორათ სხვა პატრიარქებისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა: რომისა, კონსტანტინებოლისა, ალექსანდრიისა, ანტიოქიისა და იერუსალიმისა, რომლებიც, როგორც ეხლა, იყვნენ სრულიად დამოუკიდებელი ერთმანეთისაგან. ამ სხით, 27 წლის განმავლობაში, ქათალიკოსების ანტონი I და ანტონი II მართველობის დროს, დამოკიდებულებანი რუსეთის უწ. სინოდისა და საქართველოს დიკასტერიის—ქათალიკოსით—შორის იყვნენ, როგორც თანასწორთა შორის: ქათალიკოსი ირიცხებოდა მარტო სახელით უწ. სინოდის წევრად, გარეშე ყოვლისა დამოკიდებულებისა. კანონით-კი მას შეეძლო ყოფილიყო საპატიო თავმჯდომარეთ უწ. სინოდისა თანახმად მისის ხარისხისა, რადგანაც მას ეჭირა უფროსი ეფისკოპოსის კათედრა უძველეს სატახტო ქალაქში (4—5 საუკ), რომელშიდაც ის ცხოვრობდა საეკლესიო კანონების ძალით.

1811 წელს ალექსანდრე I რეზოლიუციით უწ. სინოდის და ღენ. ტორმასოვის მოხსენების გამო ქათალიკოსი ანტონი II გაიგზავნა რუსეთში და იქ დაარჩინეს. იმის შემდეგ ქათალიკოსი არ ამოირჩიეს და მართველობა დაჭვრიებულ ივერიის ეკლესიისა მიანდეს რუსეთის უწ. სინოდის ერთ წევრთაგანს წოდებით „საქართველოს ეგზარხოსს“.

ასეთი წესი მართველობისა დღემდის დარჩა. ამ სხით „საქართველოს ეგზარხოსები“ ითვლებოდნენ ვითომ „მოადგილეთ“ საქართველოს ქათალიკოსისა. ხშირად ძველად ეგზარხოსები იგზავნებოდნენ დროებით, როგორც პატრიარქების დელეგატები ანგარიშის გასინჯვისა, კანტროლისა და აეკლესიო საქმეების წესიერებაში მოყვანი ათვის. (კრანსოვენ. განმართებელნი აღმოსავლეთის ეკლ. სჯულის კანონ. 1892 წ. 44 გვ.). საქართველოს ეგზარხოსს აქვს რამოდენიმე უაღრესობა და უფლება შედარებით სხვა რუსეთის ეკლესიის მღვდელ-მთავრებთანაც-კი, მაგალ. სავგზარხოსოს ეპისკოპოსები მის მიერ შეეკითხებიან წერილობით უწ. სინოდს. (სუფოროვ. საეკლ. სჯულ. კურსი. აღმოს. ეკლეს. 1892 წ. 44 გვ.).

რადგანაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ისტორიულად უეჭველი ფაქტია, კანონიური ახსნა ამ საკითხისა არის ცხადი და ლოღიკური ყოველ კანონისტიკათვის, უცხო კაზუისტურ სოფიტისა. ხალხში ფრიალი სარწმუნოების დაცემისა და საეკლესიო ცხოვრების სრული დარღვევისა გამო, როგორც პირდაპირი შედეგის 1811 წლის რეფორმისა და რადგანაც ახლა შესაძლებელია ხმა მალღა იყოს განცხადებული ესა, საქართველოს სამღვდლოებამ და ერის კაცებმა მიმართეს რამოდენიმე აზრით სასულიერო და საერო უწყებათ, რომ აღდგენილ იქმნას ეგზარხოსობამდის არსებული წესი საქართველოს ეკლესიის გამგეობისა, მგავსათ მისა, როგორც რუსეთის ეკლესია უბრუნდება ეხლა პეტრემდის არსებულ წესებს, რომლებიც უფრო შეეფერებინ ეკლესიის მიზანსა და წესს პატრიარქის მართველობის ქვეშ. საერო უფლებამ უმაღლესი ბრძანების გამო გარდასცა ეს საკითხი განსახილველათ საეკლესიო კრებას, რომელიც არ შეკრებილა უმეტეს ორასი წლისა, და როგორც უმაღლესი კონტროლური ინსტანცია, ნახავს თუ არა, რომ სინოდის ვანკარგულება 1811 წლისა, შესახებ ძველი ივერიის საეკლესიო ოლქისა ეწინააღმდეგება საეკლესიო კანონებს და ხალხის სარგებლობას,



და რომ ეს განკარგულება გამოიწვია „დროების საჭიროებამ“ — შეცვლის უწმ. სინოდის ამ დადგენილებას და დაუბრუნებს დაქვრივებულ ივერიის ეკლესიას ძველს საეკლესიო კანონებით ხელ-უხლებელ ავტოკეფალიურ უფლებათა და უაღესობათა. დამორჩილება რომელიმე ავტოკეფალიურ ეკლესიისა სხვა საეკლესიო ოლქის ქვეშ არის სრულიად უკანონო მოქმედება (8 კან. III მსოფლ. კრებ.); მაშასადამე, კანონიერი და სჯულიერი საეკლესიო გამგეობისთვის საჭიროა აღდგინდეს წინანდელი მართველობა ქათალიკოსისა.

ეს რეფორმა გამომდინარეობს პირდაპირ და ლოღიკურათ ყველა სახელმწიფოებში შემოღებულ სამოქალაქო და სასულიერო რეფორმებისაგან, მაგალ. სარწმუნოების თავისუფლად აღიარების კანონისა\*), როდესაც რამოდენიმე ძირითადი სახელმწიფოს წესები იყვნენ შეცვლილნი. უმაღლესის ბრძანების გამო მართლმადიდებელი ეკლესიის მართველობა უნდა დამყარდეს მკაცრ კანონიურ საფუძველზე, მაშასადამე, არ არის არავითარი საფუძველი, რომ დამოკიდებული ეხლა უწმ. სინოდისაგან საქართველოს ეკლესია დარჩეს შემდეგშიაღ და მოკიდებულ მდგომარეობაში. თუ განზრახულია გაუქმდეს პეტრე დიდის „სასულიერო რეგლამენტი“, ნუ თუ შეიძლება ხელ-უხლებლათ დაიტოვოს ტორმასოვის პროექტი „გეზარხოსის მართველობაზე“. ნუ თუ პეტრე დიდს უფრო მკითრედ სურდა „კეთილი“ რუსეთის ხალხისათვის, ვიდრე ლენერ. ტორმასოვს ქართველთათვის? თუ-კი ორასი წლის

\*). ბერდნიკოვი. „ახლანდელ დროში გამოცხადდა კანონი სარწმუნოების თავისუფლებაზე. ეს რჯული აწესებს, რომ აღდგინდეს ავტონომიური მართველობა მართლმადიდებელი ეკლესიისა, ავტონომიური მართველობა უნდა გახდეს მიზნათ განზრახულ საეკლესიო რეფორმებისა რუსეთში. ავტონომიური მდგომარეობას მასში, რომ მართველობა ერთი ადგილობითი ეკლესიისა არ იყოს დამოკიდებული მეორე ადგილობითი ეკლესიის მართველობაზე, აგრეთვე არც საერო უფლებებისაგან, ავტონომიის უფლებასთან არის შეერთებული უფლება რჯულის მდებლობისა და თვით-მართველობისა.“ (ცერკოვან. ვედომოს. № 21, 1906 წ.).

განმავლობაში, საეკლესიო რეფორმა გენიოსი მონარხისა გახდა შეუფერებელი, დაძველებული, ნუ თუ საეკლესიო რეფორმა უბრალო ლენერლისა უნდა შემდეგშიაღ დარჩეს შეუცვლელად?!...

სახელმწიფოს შეუძლია თავის საზღვრებში დაადგინოს ეს თუ ის სამოქალაქო წესები სხვა სახელმწიფოების დაუკათხავად, მაგრამ ადგილობითი ეკლესიებმა თავიანთი რჯულთმდებლობა უნდა შეათანხმონ მსოფლიო ეკლესიის რჯულთმდებლობას, თუ სურთ დარჩენ მის წევრებათ.

ამის გამო საჭიროა აღდგინდეს კანონიერი რიგი და მართველობა საქართველოს ეკლესიისა ძველი წესისამებრ, გადაქცევა ქათალიკოსის საეკლესიო ოლქისა რუსეთის ეკლესიის სამიტროპოლიტო მაზრად კიდევ უფრო დაარღვევს საეკლესიო კანონებს, ვიდრე გადაქცევა საქათალიკოსოს საგეზარხოსოდ (12 კან. IV მსოფლ. კრ. არისტინა: „ერთი ოლქი არ იყოფა ორ ოლქათ, ვინც-კი გაჰყოფს, ის არ არის ეპისკოპოზი“).

რომ პრაქტიკული განხორციელება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებებისა უწინდელ გეოგრაფიულ და ეტნოგრაფიულ ივერიის ეკლესიის საქათალიკოსო საზღვრებში შესაძლოა, — ამის შესახებ არ არის არც ეჭვი და არც უძღვევლი სიძნელე, რადგანაც XV საუკუნის არსებობის დროს ეს ეკლესია განიცდიდა კიდევ მეტ გაჭირვებას, ვიდრე ეხლა, მაგრამ ყოველთვის იყვნენ ღირსნი მწყემსნი, რომელთაც შეეძლოთ ემწყემსათ სიტყვიერი სამწყსო, წინ გასძლოლოდენ მათ და დაეცვათ სხვა რჯულის ხალხთაგან, შეიმუშავეს კრებული ადგილობითი საეკლესიო კანონებისა, ყოველთვის ითვლებოდენ „უმართლმადიდებელესებათ“ (იხ. პროკოფი II წ. ვალსმონი XII საუკ. და სხვ.), უღირსეულეს წევრებათ მსოფლიო ეკლესიისა, რომლის ცხოვრებაშიდაც იღებდენ დიდ მონაწილეობას და შეჭკონდათ მასში თავისი საუნჯე სასულიერო და მატერიალური. საქართველოს სამღვდელთაგან ახლა არის გამსჭვალული იმავე ქრი-



სტიანული იდეალებით და სარწმუნოებაზე და სამშობლო ეკლესიაზე გულს მოდგინებით, როგორც მისი წინაპარნი — მოღვაწენი, მოწამენი და მღვდელ-მთავარნი; მის წევრთა შორის არის ათობით იმპერიის უმაღლეს სასულიერო სასწავლებლებში კურს დამთავრებულნი და ასობით, რომელთაც მიუღიათ განათლება სასულიერო სემინარიებში და სასწავლებლებში. თუმცა მე XIX საუკუნეში საქართველოს სამღვდლოებას არ ჰქონია დამოუკიდებელი ეკლესიის თვითმართველობა, მაგრამ, როგორც კულტურისაგან წოდებას, მას ჩქარა შეუძლია ეხლა შეეჩვიოს საეკლესიო საქმეების პრაქტიკულად აღსრულებას. ის ავტოკეფალიისაგან არ მოეღის არც შემოსავლის მომატებას, არც შრომისა და ზრუნვის შემცირებას, მაგრამ სარწმუნოება და ეკლესია ამისაგან უეჭველად შეიმატებენ. სამწყსოს სულის ცხონება-კი — უმთავრესი მიზანი და დანიშნულებაა დედამიწაზე ეკლესიისა და მის მსახურთა არსებობისა.

ყველაზე პირველათ ეხლა საქიროა აღვიარება პრინციპიალურად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა, შემდეგში-კი კომისიამ, შემდგარმა სამღვდლოებისა და სამწყსოს თავისუფლათ ამორჩეულ წევრებისაგან უნდა შეიმუშაოს ვრცლათ საფუძველნი საეკლესიო თვითმართველობის პრაქტიკულათ განხორციელებისა და მისი რუსეთის ეკლესიასთან და რუს მცხოვრებთან კავკასიაში დამოკიდებულებისა. ივერიის საეკლესიო ოლქში კოტაა რუსები სოფლის მცხოვრებთა შორის, არის მარტო მოსამსახურენი ქალაქებში და მართველობაში, რომელთათვისაც შესაძლოა იყვნენ რუსი მღვდლები, ან ქართველები, მკოდნენი რუსული ენისა. სამხედრო მღვდლები არ ემორჩილებიან უწმ. სინოდს, იგინი შემდეგშიაც იქნებიან უწვებაში სამხედრო პროტო-პრესვიტერისა, როგორც ეხლა. მწვალებელთ, რუს — მოლაკანთ, დუხობორებს და სხვ. ჰყავთ თავიანთი მღვდლები, ამას გარდა საქართველოში შესაძლოა იყოს, რასა-

კვირველია, რუსი ეპისკოპოზი, მაგრამ თუ ის იქნება დამოუკიდებელი ეგზარხოსის, მიტროპოლიტის, ან კიდევ არქიეპოსკოპოზის ხარისხში, ერთ ქალაქში ქათალიკოსთან, რაც აკრძალულია საეკლესიო კანონების ძალით, შეტაკება თითქმის აუცილებელი იქნება, რადგანაც რუსები მიემხრობიან თავის მწყემსმთავარს, ქართველები-კი თივისას და დაიწყება განხეთქილება და შუღლი, რასაც უნდა ვერიდებოდეთ. მართლმადიდებელ ბერძნებს შეუძლიათ იყოლიონ, როგორც წინეთ, თავიანთი მღვდლები, აგრეთვე ოსებს, მორჩილთ ქათალიკოსისა. ყველა დანარჩენთ სხვა სარწმუნოებათა მიმდევართ შეუძლიათ, როგორც აღრე, ალასრულონ თავიანთი წესები, ჩვეულებანი და ღვთის მსახურება დაუბრკოლებლათ ძველებურის იმ გვარად სარწმუნოებათა შეწყნარებით, რომლითაც განირჩეოდა ყოველთვის საქართველო და რასაც მოწმობენ მოგზაურნი, მყოფნი საქართველოში, მაგალ., ცნობილი მარდენი მე XVII საუკუნეში, რაზედაც აგრეთვე მოწმობენ საეკლესიო და სამოქალაქო კანონები მეფე ვახტანგ VI, რომელშიდაც არ არის არც ერთი მუხლი, შემზღუდველი საქართველოს მცხოვრებთ სარწმუნოებრივ უფლებათა, ქრისტიანთა და არა ქრისტიანთა.

რადგანაც ივერიის ეკლესია ძველათაც იყო ერთი და განუყოფელი, ამისთვის ამ საეკლესიო ოლქში უნდა იყოს ერთი ქათალიკოსი, 1) სივრცე საქართველოსი დიდი არ არის, — ორი — სამი გუბერნიასა, 2) ასეთია სურვილი სამღვდლოებისა და ხალხისა, 3) საქართველოს, რუსეთთან შეერთების წინ იყო მარტო ერთი ქათალიკოსი, 4) შენახვა ორი საქათალიკოსო უწყების დაჯდება ძვირად და 5) თუ ზოგჯერ კიდევაც იყვნენ ორი ქათალიკოსი, ეს იმ მიზეზის გამო, რომ საქართველო იყო განუყოფელი სამ სამეფოდ და რამოდენიმე სამთავროდ, რომელთაგანაც თვითეულს მეფეს სურდა თავის სამეფოში ჰყოლებოდა დამოუკიდებელი ეკლესიის თავი.

ჩამოშავლობით სხვა და სხვაობა საქართველოს საეკლესიო ოლქის მცხოვრებთა ვერ



დააბრკოლებს ავტოკეფალიის განხორციელებას, როგორც არ აბრკოლებდა უწინ, როდესაც საქართველოში სცხოვრობდნენ თითქმის ყველა იგივე წარმომადგენლები სხვა და სხვა ტომთა, როგორც ახლა რუსეთშია ეს, როგორც მოწმობს შარდენი <sup>1)</sup>, რომელიც თავის სავაჭრო საქმეების გამო მე XVII—XVIII საუკუნეებში სცხოვრობდნენ საქართველოს ქალაქებში და დაუბრკოლებლათ ვაჭრობდნენ. ასე რომ მაგალ., პოტემკინი სამხრეთ რუსეთში ყოფნის დროს, იწერავდა მე XVIII საუკუნეში ბეწვეულობას თავის საქიროებისათვის არა მოსკოვიდან, არამედ თფილისიდან რუს ვაჭართაგან <sup>2)</sup>.

ამასთანავე არც ძველათ, და არც ჩვენ დროში არ ყოფილა და არ არის თითქმის არც ერთი დამოუკიდებელი საეკლესიო ოლქი, დასახლებული განსაკუთრებით მარტო ერთი ტომისაგან, მაგრამ ეს არ აბრკოლებს ეკლესიების ავტოკეფალიის განხორციელებას. ხომ „შაბათი კაცისათვის იქმნა“. (მარკ. II თავი 27 სტ.) და არა წინაუკმოდ, ამისათვის „ყოველი საშვალეებით უნდა ვიღვაწოთ კაცის ცხოვრებისა და უშიშროებისათვის“ (88 კან. VI მსოფლ. კრებ.), როგორც ქრისტიანისა და მოვამარჯვოთ საეკლესიო გამგეობა ადგილობრივ მოთხოვნილებას და ჩვეულებას ეკლესიისას.

ერთი არსებითი პირობათაგანი საქართველოს ავტოკეფალიის განხორციელებისათვის

*En Georgie chacum a la liberte de viure dans sa religion et dans ses coutumes, d' en discourir et de les defendre. On y voit des armeniens, des gres, des juniff des tures, des persans, de indiensdes tartares, des Moscouitec et des Europeans. Voyages de Chardéens en Perse (autres liux de l' Orient. t. 2 p. 130.) Amsterdam 1711.*

<sup>2)</sup> ახალი მასალები ცხოვრების აღწერისა და მოქმედებისა ს. დ. ბურნაშვილისა, რომელიც იყო საქართველოში რუსეთის ელჩად 1783—1787 წ. შედგენილია ს. ბ. ბურნაშვილისაგან პროფ. ა. ა. ცაგარელის რედაქციით, პეტერბურგი, 1906 წ.

არის გამოძიება საშვალეათა შესანახსდ სამღვდლოებისა და საეკლესიო დაწესებულებათა საქართველოში. საქართველოს ეკლესია ძველათ უხვათ იყო უზრუნველყოფილი ყველაფრით, რაც საჭირო იყო მის მატერიალურად არსებობასათვის, აგრეთვე თავის მიზანისა და მოწოდების აღსრულებისათვის, მაგრამ ეს საშვალეება დაშრა, გამოილია მას შემდეგ, რაც მის კანონიურმა გამგემ და მფლობელმა—ქათალიკოსმა შესწყვიტა არსებობა და რუსეთის ეგზარხები შევიდნენ დაქვრივებულ ეკლესიის ქონების მართველობაში, განსაკუთრებით მე XIX საუკუნის 20 წლ. ეგზარხოს ფეოფილაქტის მართველობის დროს. ზნეობრივი გაჩინაგება, რომელიც ცხადია ეხლა საქართველოს ეკლესიის სამწყსოში და სამღვდლოებაში, არის პირდაპირი შედეგი მის მატერიალური გაჩინაგებისა. ქართველებს სრულებით არ შეუძლიათ წარმოადგინონ, როგორ თუ ეს ქონება შეწირული ეკლესიისადმი კეთილ მსახურ მეფეებისაგან, დარბაისელთაგან და მღაბიო ხალხისაგან ძველი დროიდან, და დამტკიცებული საკუთარი ოქმებით თითქმის ყველა ხმლით დამპყრობელთაგან—სპარსელებისაგან, არაბებისაგან, მონგოლებისაგან და თათრებისაგან შესაძლო იყო ჩამორთმეოდა ეკლესიას მართლმადიდებელ რუსის გამგეობის დროს და მისციდულიყო ვისაც კი სურდა ყიდა ხშირად იმ ადგილებზე თავ-შესაქცევ სადგომის გასამართავად! ძველებური მოწიწება ასეთ სამღვთო საგნებზე სრულიად დაეკარგა ხალხს, რის გამოც საქართველოს მეფეებმა შეწირულება ეკლესიებში სულის მოსახსენებლათ, რაზედაც უხვი იყვნენ წინა საუკუნეებში, მე XIX საუკუნეში სრულებით შესწყვიტეს. აი სად არის ნამდვილი წყარო ასე ცნობილი ქართული ნილილიზმისა, სებატიზმისა და სოციალიზმისა ეკსპროპრიატული მიდრეკილებით... რაზედაც ძველი ქართველები ფიქრსაც ვერ ბედავდნენ, რაც მაგალითად რუსეთში სრულდებოდა საუკუნეებით (XVI—XVII საუკ.) საქართველოში ეს მოხდა ერთბაშათ. ამასთანავე მზრუნველთაგან და არა კანონიურ მფლობელთაგან ახლა ვე-



ძიებთ საშვალებას საქართველოს ეკლესიის და სამღვდლოების შესანახად, მაგრამ როგორ? დაჯილდოებულია თუ არა საქართველოს ეკლესია საეკლესიო გლებთა განთავისუფლებისათვის? კომისიას მოუხდება მტკიცედ მოიფიქროს ამაზე. იბოება, რასაკვირველია, საშვალება ადგილობრივი სასულიერო და სამოქალაქო შამოსავლისაგან, რადგანაც ეკლესია ამასთანავე არის ერთი უდიადესთაგანა ინსტიტუტი სახელმწიფოს ცხოვრებისა. საქართველო არ არის განახლებული ისტორიისაგან, ის არ არის მიჩვეული იცხოვროს სხვის ხარჯზე არც საეკლესიო და არც სამოქალაქო მხრივ. ცნობილია, რომ ქართველები უნებლიეთ სტოვებენ თავის სამშობლოს. თუკი შიგნით რუსეთის გუბერნიებში მოიპოვება რამოდენიმე მოსამსახურე ქართველი, არა მქონე არავითარი უაღრესობისა რუსებთან შედარებით, საქართველოში ძველის დროიდან სცხოვრობენ ითასობით რუსები და სხვა ტომის ხალხი, რომლებიც, თუმცა სარგებლობენ სამსახურით და სხვა პატივით, მაინც ჰხლებიან მის შესახებ უმადურები. ამისათვის დეკანოზი ბუტკევიჩი გადაიტმნს ავთოპოფობას თავის თავიდან საღზე, სიმართლე არ მიუძღვის წინ, როდესაც სცდილობს „აჩვენოს მდაბალი და აღსაშფოთებელი უმადურება რამოდენიმე ქართველ სამღვდლოების წარმომადგენელთა, რომლებიც ვითომდაც ყოველთვის სცხოვრობდნენ რუსეთის ხალხისა და მართველობის საჩუქეობით იოანე III მთავრის დროიდან“.\*)

\*) წიგნაკი: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი შესახებ. დეკან. ბუტკევიჩი. ხარკოვი 1906 წ. 73 გვ.

შემდგში იქნება დაუბრუნდი ვარჩევას ამ წიგნაკისას, რომლისაც თითქმის თითოეული სტრიქონი მოითხოვს პასუხის მიცემას, მე აქ ვიტყვი მხოლოდ რამოდენიმე სიტყვას: როგორც ნათქვამია მოსამართლეთა განაჩენში, ავტორს ჰქონდა მინდობილი მე II განყოფილებისაგან მოყვანა ცნობაში არქივის საბუთის წიგნებისა მე XVIII საუკ. ბოლო და მე XIX დასაწყის საუკუნეებისა, რომლებიც ინახებიან სინოდის არქივში და უნებინა საქართველოს, უმეტესი ნაწილი რომლებსაც უკვე დაბეჭდილია და 2/3 ბუტკევიჩის მცირე თხზულებისა არის მიმართული ისეთ საკითხებზე, რომ

ეს ოცნება მოწმობს არა მარტო ავტორის ღრმა უმეცრებაზე საეკლესიო ისტორიაში რუსეთისა, საქართველოსა, აგრეთვე რუსეთის სამოქალაქო ისტორიაში, არამედ მას დიდ მიდრეკილებაზედაც—, ივაჭროს ქვეშაირიტებით“. (2 კან. II მსოფლ. კრ.).



მელთაც არა აქვთ პირდაპირი დამოკიდებულება მინდობილ წინადადებასთან. გაუგებარია, რისთვის ავტორმა იღვა თავის თავზე ამ შრომის აღსრულება: სკოდნია მას წინეთ საქართველოს საეკლესიო ისტორია, ანუ თუ უცხოვრია საქართველოში? ამას გარდა არა სჩანს ამ წიგნაკი აგან: მოახსენა თუ არა მან ეს საბუთის წიგნები მე II განყოფილებას წინეთ, დაბეჭდვამდის, როგორც ჯერ იყო, მარტო ცნობილია, რომ მან თავის თხზულება დაბეჭდა პირველთა ჟურნალში „ვერა ი რაზუმ“ 1606 წ. შემდეგ გამოცა ცალკე წიგნაკათ და ახლა იბეჭდება მე II განყოფილების წევრთა განაჩენში, მაშასადამე, იმას ეძლევა რამოდენიმე მნიშვნელობა. აი რას ამბობს ის თავის შრომის დასასრულში: (76 გვ.) „ვიმეორებ ჩემ რწმენას—საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა აღძრულია არა საეკლესიო ინტერესების გამო, არამედ პოლიტიკურისა... მაგრამ ქართველთა პოლიტიკურ მისწრაფებას უნდა ეღაონ რუსეთის სამოქალაქო მართველობის მოხელენი და არა საეკლესიო კრება.“

რასაკვირველია, თვითოეულ საკითხში, რომელიც ენება საეკლესიო მართველობას, საქართველოს საქათალიკოსო იქნება ეს, თუ რუსეთის საპატრიარქო, არის პოლიტიკური, სახელმწიფოური მხარეც, მაგრამ ამის განსახილველათ არიან კანონიერი და მცოდნე პირნი და არავის არ მიუხდვია არც ბუტკევიჩისათვის, არც კრების წინასწარ დასწრებისათვის და არც მომავალ საეკლესიო კრებისათვის განიხილონ საეკლესიო კითხვები პოლიტიკური და არა საეკლესიო—კანონიერი მხრივ. თუკი მე II განყოფილება თანახმა არის ბუტკევიჩის აზრზე, მან უნდა უარი სთქვას, შეკრიბოს და განიხილოს მასალები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაზე და გადასცეს ეს საქმე სამოქალაქო უწყებას. ძლიერ სამწუხაროა, რომ ბუტკევიჩის ასე უყვარს პოლიტიკოსობა, კიდევაც ამან დაუშალა მას აღსრულებინა თავისი მოვალეობა. პოლიტიკაზე ცოტა და ბევრი საეკლესიო მხარეზე და მაშინ შეიძლება მიზანს მიეღწია, რასაკვირველია, ტლიერანი ანაფორაში იყო დიდი პოლიტიკოსი და დიპლომატი, მაგრამ ყველასკი, ვისაც აცვია ანაფორა, არ შეუძლია გასწიოს ტალიერანობა...



# ა რ ა კ ა ც - კ ლ ა .

აჩივის ღლიურიდან.

(დასასრული).

4 ივლისი.

ღიად, ვარინკა მოკვდა. ყოველივე ეს სულ უბრალოდ მოხდა. გუშინ საღამოს მე მიუტანე მას მეორე შუშა ჩემი გამოწერილი წამლისა. მაგრამ ამ შუშაში წამლის მაგიერად სულ სხვა რამ იყო. მე ისე მოვაწყვე საქმე, რომ მატარებლის წასვლის დრო გაუშვი, დავიგვიანე და მე იქ დავრჩი ღამის გასათევად. ღილას ვარინკა მისმა მოსამსახურე გოგომ მკვდარი ნახა, მაგრამ სახეზე ის გავდა მომღიმარ მიძინარეს. მშვენიერი, საუცხოვო პირის სახე! ვერავინ ვერ გიხილავს შენ დასახიზრებულს „ღიდი სენით“, როგორც საფუძვლიანად უწოდებენ ინდუსები კეთროვნებას... მე გავშინჯე მიცვალებული და ვსთქვი, რომ ის მომკვდარა გულის სიგანიერით, ხოლო საწამლაიანი შუშა იმ არეულობას დროს მე გამოვცვალე და მის მაგიერ დავდგი წინანდელი წამლის შუშა. ამგვარად ვერავინ ვერაოდეს ვერ გაიგებს სიძარტლეს.

მშობლები და სერგო მწუხარებით იხილეს. კოწია გოდებს და გლოვობს, სულით მეტად მწუხარეა, მე კი მიინდა ყველა იმათ უთხრა: „ახ! კმარა, თუ რომ თქვენ იცოდეთ, რისგან გამოიხსნა ის სიკვდილმა, მაშინ კი არ იტირებდით, არამედ გაიხარებდით“.

5 ივლისი.

გულზე მაწევს მე რაღაც გასაშტერებელი სიმძიმე და ეს არა მარტო ვარინკას შებრალება, და გულმტკივნეულობა მათდამი, ვინც მას გლოვს,—ეს თავის თავად,—ხოლო მე შტანჯავს კიდევ რაღაცა სხვა, რომლის განსაზღვრა არა გზით არ შემძლია. ეს გრძობა იმის მზგავსია, როგორის გამოცდა მე შემხვედ-

რით წინეთ, როცა მე რაიმე (კუდს ვიგრძნობდი, მაგრამ ახლა კი ის შეუღარებლად უმეტესია. რისგან უნდა იყოს ეს? მე ხომ კანონიერად და გონიერულად მოვიქეცი...

არ მესმის მე რა მემართება რაღაც მოუსვენარი წუხილი დამაწვა მე გულზე და ერთ წუთსაც არ ცხრება. მე არ შემძლია არც ძილი, არც ჭამა, და მე მიინდა სულ ვიარო, ვიარო დაუჯდომელად, მიინდა ვილაპარაკო ვიხმურო, ვიყვირო, რომ მხოლოდ დავაყურო ის გაუძლებელი, აუტანელი, რაც მე მაწუხებს და რის სახელსაც მე ვერ ვპოულობ, რომელსაც არ ვიცი, რა დავარქვა. ეს საოცარია, და და თანაც მიუწდომელია, მაგრამ მე ვგრძნობ ჩემ თავს მკვლელად... ღიად, ჩვეულებრივ მკვლელად, აი ისე, როგორც ისინი, რომლებიც კლავენ კაცს ცარცვა—გლეჯისთვის ან სიბოროტისა გამო. მაგრამ ეს ხომ სიძარტლე არ არის, მე დამნაშავე არა ვარ, ამიტომ რომ ვხელმძღვანელობდი მხოლოდ გულშემატკივრობით. მე კი მაინც ისე ვწუხვარ, თითქო მე ჩავიდინე შეუნანებელი ცოდვა.

ყოველ ცულად განათებულ კუთხეში მე მელანდება ვარინკა, დაღონებული, საყვედურით სავსე თვალებით, და სულ ის მიდგება თვალწინ, როგორ სვამდა ის იმ „წამალს“.

ისე ნდობით დალია... რა თქმა უნდა! ის წამალი ხომ მისი მოხუცებული მეგობრის გამოწერილი იყო, მისი „ბიძიკო ევკენიასის“, როგორც ის ხანდისხან ხუმრობით მეძახოდა, გამოწერილი იყო... დალია, ცოტათი თავისი ღამაში ცხვირი შესქმუნა, მოიკუნტა და დაიძინა... რომ მეტად უკვე ვეღარ გაიღვიძოს, ამიტომ რომ ამ კეთილმა, კარგმა „ბიძიკომ“ მოწამლა ის, ნამდვილად ძალღივით, მოწამლა, წინდაწინვე ყოველივე მოიფიქრა და გამოიმეტა ის, როგორც გულგრილმა უსულ-გულმ მუდრეგმა კაცმა.

ჩემზე თავდამსხმელ ავაზაკს, მტრის საღდათს, გახურვებულ ომის დროს, მე არ უზამდი ეგეთ ბოროტმოქმედებას; მე მოვკლავდი მათ ცხადად, თანასწორ შეტაკების დროს, და აი ეს უმანკო, უმწეო ქალი, რომელსაც მე



უყვარდა, მისდა და სხვისდა გაუგებრად მოვ-  
წამლე და მოვკალი და ახლა ხომ ვერაოდეს  
ვერ დავაბრუნებ მას და ჩემ მიერ ჩადენილ  
საქმეს ვერაფრით ვერ გავასწორებ.

ვერასოდეს, ვერაფრით... როგორია ეს  
უბრალო, ჩვეულებრივი, საზოგადოდ სახმარი  
სიტყვები მაგრამ რავედენ საშინელებას და წვა-  
ლებას-წუხარებას გამოხატავენ ისინი დროთი  
დრო, კაცის მკვლელი! კაცის მკვლელი! ამ  
სახელწოდებას მე ველარ მოვიშორებ, ის ჩა-  
მჩინებებს მე თავში, მკერდში და მეხვივით მე-  
ცემა გულში, ხოლო როცა მე მარტო ვრჩე-  
ბი, მაშინ სრულიად გარკვევით მესმის, რო-  
გორ მიჩურჩულებს ვილაყ ყურში, და მიჩურ-  
ჩულებს პრისხანედ ეგრე: „კაცის მკვლელი-  
მომწამლველო!“... და მაშინ მე ისეთი შიშის  
ზარი დამეცემა, რომ მე სრულიად ვიკრუნჩ-  
ხები, მეშინია გამოხედვა, მეშინია განძრევა და  
ვცდილობ როგორმე ჩუმად ამოვისუნთქო.

მაგრამ გაუნძრევლად ჯდომაც არ შემიძ-  
ლია, მე მესაჭიროება ჩქარი სიარული, მესა-  
ჭიროება, რომ ჩემ გარშემო იყოს გაჩაღებული  
სინათლე, რომ უკრავდეს ხმა მალდა მუსიკა  
რომ ხმაურობდეს ხალხის გროვა, —საზოგა-  
დოდ, რომ ყოველივე, რაც ჩემ გარშემოა არ  
იყოს მსგავსი „იჰისა“... გარდაცვლილ ვარინ-  
კასი, ლოგინზე მწოლარისა, ხოლო მის მახ-  
ლობლად—ეს ოთხი მწუხარებისაგან გონება  
დაბნეულნი პირნი.

მაგრამ ხშირად ხალხშიაც კი მელანდება  
მე მისი გაცივებული ხელი ცისფერ საბანზე  
მდებარე, და რაღაც მიზეზის გამო ისე ცხა-  
დად წარმოიძვება ამ საბნის დალიანდაგებუ-  
ლი სახეები, და ეს სახეები ყველაზე უფრო  
მაწუხებს მე, და ყოველთვის მგონია მე, რომ  
თუ იმათ როგორმე მოვიშორებ, მაშინ მე  
უფრო დავმშვიდდები.

ღიად, აი კიდევ ჩემთვის აუტანელია რო-  
მელიმე საფაროვების, ან კოწიას ნახვა; ისინი  
მელაპარაკებიან მე თავიანთ მწუხარებაზე, ტი-  
რიან, დარწმუნებულნი არიან, რომ მათთან  
ერთად ამ შემთხვევისა გამო მეც შეწუხებული  
ვარ, როდესაც რომ...

და მე არ შემიძლია მათ თვალეში პირ-  
დაპირ შევხედო. ვშინჯე, თავს ძალა დავა-  
ტანე, რომ შემეხედნა და ვერ შევიძელ: წამ-  
წამები თავისთავად ძირს ეშვებიან, ან გუგა  
თვალისა განზე იხედება—და მორჩა. მე მგო-  
ნია, რომ ისინი, როცა ხელს მართმევენ, ამ  
შეხებით იბილწებიან, ამიტომ რომ მე ეს  
უწმიდური ვარ, მე დამნაშავე ვარ, და მე  
შინდა უამბო მათ ყოველივე სიმართლე, იმი-  
ტომ კი არა, ასე ვსთქვათ, აღვიარო ცოდვა,  
რათა ცოტათი მაინც შეუმსუბუქო ტანჯვა  
ჩემ სულს, არამედ უბრალოდ საღმობიერ  
ცნობის მოყვარეობისა გამო: ისინი როგორ  
შეხედვენ ამ გარემოებას? მაგრამ მე არა მაქვს  
უფლება ესე ვქმნა, მე უნდა მდუმარებით ვა-  
ტარო ჩემი ცოდვის მთელი სიმძიმე.

კიდევ წამომცდა ეს სიტყვა: „ცოდვა“  
უფალო! ნუ თუ არაფრისგულისათვის არ შე-  
იძლება კაცის მოკვლა, არც მისი სიკეთისათ-  
ვის? ცხადია, რომ არ შეიძლება... ღიად, არ  
შეიძლება კაცის მოკვლა, მაგრამ განა ჩემ სა-  
ქციელს შეიძლება უწოდოთ მკვლელია?...  
მაშ, |ხვაფრივ რა უნდა უწოდოთ? როცა კაცი  
იშორებს (იგერებს) მასხედ მოსულ მტაცე-  
ბელს და ან ებრძვის ომში, ეს სულ სხვაა:  
იქ მოწინააღმდეგე კაცის მოკვლა არ არის  
დასახული სავალდებულო მიზნად; იქ იფარავს  
თავის თავს, ან თავის სამშობლოს; მაგრამ თუ  
მტაცებელს რაიმე შეეშინდა და გაიქცა, ან  
მტერი ტყვედ დანებდა, მაშინ ყველა, ვინც  
თავს ან მამულს იფარავდა იარაღით, ამით  
დაკმაყოფილდება და ინახავს იმას, რაც მას  
ეკუთნის. მე აი მქონდა განსაზღვრული მიზა-  
ნი: სახელდობრ ვარინკას მოკვლა, როგორც  
ვინმე უღვთო-უკეთური კლავს სახელდობრ  
განსაზღვრულ პირს, რომ ისარგებლოს მისი  
ქონებით.

რასაკვირველია, მე ვხელმძღვანელობდი  
სრულიად სხვა მიზნით; მაგრამ რადგანაც მე  
ასე საშინლად მტანჯავს სინილისი, მაშ, ცხა-  
დია, რომ ქვეყანაზე არ არის არავითარი ისე-  
თი მიზანი, რომელიც იძლეოდეს კაცის მო-  
კვლის უფლებას. წინეთ მე ეს არ მესმოდა,



ამიტომ რომ, მეც ისე, როგორც ყველანი, მეტად ბევრს ვმსჯელობდი გონებით და მეტად ცოტა ადგილს უთმობდი ჩემ ცხოვრებაში საუკუნო უტყუარ მცნებებს.

აი კიდევ დამველებული, დიდი ხანია ხმარებიდან გამოსული სიტყვა: „მცნება“. ჩვენ, განათლებული კაცები, მივეჩვიეთ მაგისტანა სიტყვების დაცინვის კილოთი წარმოთქმას, ჩვენ ვკეკლუცობთ მით, რომ თითქო ისინი არ გვეჭირვებოდეს, მაგრამ ნამდვილად კი, როცა მოვა შავი, მძიმე დღე, ისინი წარმოგვიდგებიან ჩვენ წინ მთელ თავისი ჩუმი დიდებით. და აი ახლა მე, ვგრძნობ რა, რომ მეტის მეტად წინდაუხედავი სახით დავარღვიე ერთი უწმიდეს მცნებათაგანი, განვიციდი იგეთივე უმწეო შიშის ზარს, როგორსაც გრძნობდნენ ამის მსგავს შემთხვევებში ჩემი შორეულნი, ცრუმორწმუნე წინაპარნი, და არც ერთს ჩემ მიერ შესწავლილ მეცნიერებას ახლა არაფრით არ შეუძლია ჩემი დახმარება, ჩემი შველა.

როგორ შემეძლო მე ასე გადაწყვეტით, ასე დარწმუნებით თავის შეუცდომლობაში სხვის სიკოცხლეზე განკარგულება მომეხდინა? მე ვფიქრობდი, რომ ვარინკას კეთილ საქმეს უშვრებოდი... დიად, რასაკვირველია, მე ამას გულწრფელად ვფიქრობდი. მაგრამ საიდან შემეძლო მკოდნოდა, რომ სახელდობრ ეს იქმნებოდა მისთვის სიკეთე? შეიძლება, თუ რომ მას ამ საათში შეეძლოს ლაპარაკი ჩემთან, მეტყუადა ის: „თქვენ რისთვის მომკალით მე? რა უფლება გქონდათ თქვენ ჩემი სიკოცხლე განგეგოთ? კარგი, ვსაქვათ, მე გამოუთქმელად ვწვალობდი ზნეობრივადაც, და ფიზიკურადაც, და ყველანი, ვისაც მე უყვარვარ, ვგრეთვე დაუსრულებლად სულით ავადყოფობდენ; მაგრამ ჩვენ მაინც იმედი გვექნებოდა, თუნდ სასწაულისა, დიად, იმედი გვექნებოდა, ამიტომ რომ კაცს, მაშინაც კი როცა უფსკრულში ვარდება, მაშინაც კი როცა ლომს პირში უვარდება, გულის სიღრმეში რაღაცის იმედი აქვს. უიმედოთ არ იქნება სიკოცხლე, და მხოლოდ უკანასკნელ აღმოფ-

შენის დროს ქრება უკანასკნელი ნაპერწკალი სასოებისა. თუნდ ეს იმედი იყოს უთაბოლო, თუნდ ეს არ აღსრულდეს, მაგრამ მაინც ის არის მზე ჩვენი არსებობისა! ხოლო საფლავიდან კი აღარ შეიძლება დაბრუნება“...

დიად, მე დარწმუნებული ვარ, რომ ის სწორედ ვერე მეტყუადა მე, თუ რომ შეეძლოს, და ის იქნებოდა მართალი: საიდან უნდა ვიცოდეთ, რომ მართლა მისი მდგომარეობა იყო უიმედო? შეიძლება, ერთი წელიწადიც არ გავიდეს, რომ კეთროვნება აღარ იქმნეს უსაშინელესი ყელჭირვებაზე. ეხლა თითქმის ყოველ თვეში იგონებენ განსაცვიფრებელ შესანიშნავ წამლებს სხვა და სხვა სენის წინააღმდეგ, და ის, რაც გუშინ ითვლებოდა განუკურნებელ სენად, დღეს სულ უბრალოდ და ადვილად განსაკურნებლად მიაჩნიათ. და ეს ხომ ვარინკამაც იცოდა და, ექმნებოდა რა იმედი ეგეთი გამოგონებისა, ის მამაკურად ატარებდა თავის ჯვარს. მხოლოდ ერთად ერთი სიკვდილი არის გამოუბრუნებელი, გაუსწორებელი, მე კი დაუფიქრებლად მიუტანე მას სახელდობრ ეს გამოუბრუნებელი წამლის სახით, რომელიც მან ისე წყნარად დალია.

ახ! ეს აზრი ჩემდამო მის რწმუნებაზე ქკუიდან შემშლის მე!

### 13 ავლისა.

რა კარგი იქმნებოდა, რომ ეხლა მოვევდებოდე და მერმე არაფრის ფიქრი არ მექნებოდა, არაფერი აღარ შემაწუხებდა. არაან ისეთი წამნი, როცა ჩემი ხელი თავისთავად მიიწვეს საწერი სტოლის მარცხენა უჯრისაკენ, რომელშიაც ძვეს რევილვერა და რაღაც შინაგანი ხმა ჩამძახის მე: „აბა, ჩქარა! რაოდენიმე მოძრაობა და საუკუნო მოსვენება!“

მაგრამ მართალია ეს, რომ საუკუნო მოსვენება? ჩვენთაგანმა ვინ იცის ეს? თვით უგანათლებულესი და უჭკუიანესი კაცები ამ საკითხის წინაშე ისეთი უღონო და უმეცარნი არიან, როგორც ტყის კაცები, რომელთაც კაცურად ლაპარაკიც არ შეუძლიათ და მხეცებივით ღმუვიან.



ღილა, კიდევაც რომ დანამდვილებით ვიცოდე, რომ „იქ“ მე მომეღოს მოსვენება, მე მაინც არა მაქვს უფლება ჩემი ნებით წავიდე აქედან: ესეც კაცის მკვლელობა იქმნებოდა, ხოლო მე შეყოფა ერთიც. გარდა ამისა, განა მე ვაგებდავ, რომ კოწიას ახალი, იგეთივე სასტიკი თავხარი დავცე? არა, მე უნდა ვიცხოვრო და ვითმინო, როგორი საშინელებაა უნდა იყოს სიცოცხლე და ჩემთვის სატანჯველი, როგორათაც უნდა მოუძღურდე მე ჩემ გულზე დაწოლილ სიმძიმეს ქვეშ, მე მაინც ვალდებული ვარ გავეზუმდე და ვატარო ის იმ დრომდის, სანამ თვითონ ღმერთი არ განმათავისუფლებას მე მისგან.

7 აგვისტო.

მთელი დანარჩენი ჩემი დღეებისა უნდა მოვახმარო ჩემი ცოდვის გამოსყიდვას, მონაწილას...

ერთად ერთი ჩემი ნუგეში ახლა არის შეგნება იმისა, რომ ყოველივე ცოდვის გამოსყიდვა შეიძლება, იმისთანასიკ კი, რომელიც შეხედულეობით გაუსწორებელია და დღეიდგან ამას უნდა შევესწირო მთელი ჩემი ძალ-ღონე, ყველა ჩემი ფიქრები არსებობის უკანასკნელ წამამდე. ჩემი მომავალი გზა, მძიმე და სამწუხარო, მაგრამ აუცილებელი, ცხადად მიდგას თვალწინ: მე უნდა შევისწავლო კეთროვნება და მისი მოსასპობელი საშვალება ვეძებო, მე ვგრეც მოვიქცევი, ამ საქმეს ველარ გადავდებ ვერც ერთ დღეს. მე წავალ ინდოეთის მივარდნილ ადგილებში, სანდვიჩევის კუნძულებზე, — ყველგან, სადაც ის მძინვარებს, როგორც ქარიშხალი, და იქ დაულაღვად ვიშრომებ იმ დრომდე, სანამ არ მოვკვდები, ანდა... კაცობრიობის უდიდეს ღვთის რისხვაზე (კეთროვნებაზე) გამარჯვებული დავბრუნდები..

ოჰ! თუ ჩემი ხვედრია უკანასკნელი, თუ მე ვიხსნი წამებისა და დაღუპვისაგან მრავალათას სიცოცხლეს, მაშინ მე მებატივება ჩემ მიერ დაღუპვა ერთი სიცოცხლისა, და ვარინ-

კას სახე, რომელიც ახლა საყვედურით მდევნის, მაშინ ნათლად გამიღიმებს მე და მეტყვის: „მე ბედნიერი ვარ, რომ ამდენი კაცის გამომსყიდველ მსხვერპლად შევიქმენ!“

ხოლო თუ ჩემი შრომა ტყულა უბრალოდ გაივლის...

რაქმნა, ის ჩემი ბრალი არ იქნება, მე ერთ გოჯაზე მაინც გაუწმენდ გზას იმ მომავალ მძღველს, რომელიც, უსათუოდ, როდისმე მოვა. ამასთანავე ჩემი სიკვდილის შემდგომ ვინც წაიკითხავს ჩემ დღიურს, იმას ეს უბრალოდ დაწერილი სტრიქონები გაახსენებენ ამ ჩვენ საუკუნეში ნახევრად დავიწყებულს დაუფასებელ მცნებას: „არა კაც-კლა!“

ახსიანდრაცია ნესტორ.



რედაქტორი, მღვდელი სიმონ მკვდლიძე.  
გამომცემელი იოსებ ლეუვაა.

განცხადება.

იოსებ ხელაძის

სტამბა

ქუთაისში

დებულობს უაგელგვარ სსსტამბო საქმეებს:

რუსულს, ქართულს და აგრეთვე ევრ. ენებზე.

საქმე სრულდება სუფთად და

თავის დროზე



